

გიორგი დოლიძის შესახებ

გიორგი დოლიძე დაიბადა 1988 წლის 10 აპრილს, თბილისში. ბავშვობის წლები მან გაატარა გურიის რეგიონში, ქალაქ ოზურგეთში, ხოლო მოგვიანებით 2001 წელს, იგი თავის ოჯახთან ერთად დაბრუნდა დედაქალაქში. გიორგიმ დაამთავრა თბილისის 155-ე საჯარო სკოლა, შემდგომ კი, მოიპოვა ბაკალავრის ხარისხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საერთაშორისო ეკონომიკის განხრით. ამ წლების განმავლობაში იგი აგრეთვე მხარს უჭერდა „აშშ-ის მშვიდობის ფონდს“ , რათა ხელი შეეწყო განხორციელებულიყო პროექტი „ინგლისური ენის საჯარო ბიბლიოთეკა“ თავის რეგიონში, გურიაში.

2006-2010 წლებში ის ჩართული იყო მსოფლიოში ყველაზე დიდი ახალგაზრდული ორგანიზაციის AIESEC-ის ეროვნული კომიტეტის დაფუძნებაში. იგი არის პირველი ადგილობრივი კომიტეტის დამფუძნებელი დედაქალაქში, ხოლო რეგიონული დამფუძნებელი ქალაქ ბათუმში.

მისი პრეზიდენტობის პერიოდში „AIESEC საქართველოს“ ორგანიზებით ჩატარდა ცენტრალური აზიისა და კავკასიის კონგრესი, რომელსაც დაესწრო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 120-ზე მეტი დელეგატი, ასევე კავკასიიდან და ცენტრალური აზიიდან, ჯამში 14 ქვეყნიდან. მისი ხელმძღვანელობა ასევე მოიცავს პირველ 200-ზე მეტ გაცვლით პროგრამას და ასევე პირველ შემომავალ გაცვლით სტუდენტებს ევროპის ქვეყნებიდან და აშშ-იდან. დღემდე აისეკის მეშვეობით 5,000-მდე ახალგაზრდა ეწვია ევროპას და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს საქართველოდან.

2011-2014 წლებში გიორგი დოლიძემ დააფუძნა „ISIE ინტელექტისა და განათლების საერთაშორისო სკოლა“, რომელიც წარმოდგენილია ამ ეტაპზე ევროპის 3 ქვეყანაში: საქართველო, პოლონეთი და პორტუგალია. აიესაი არის ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება არაფორმალურ განათლებას და ეხმარება ახალგაზრდებს განათლების რეალობასთან დაკავშირებაში. იმისთვის, რომ აიესაიმ მიაღწიოს მის მიზანს, იგი აორგანიზებს ახალგაზრდების სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის პროექტებს, ღონისძიებებს, კონფერენციებსა და სპეციალურ პროგრამებს.

ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ახალი თაობების წარმატებული განვითარების შემდეგ გიორგიმ კარიერა მეწარმეობაში განაგრძო. 2014 წელს მან შექმნა პირველი ყველა ტიპის სარეკლამო ბეჭდვითი სააგენტო თბილისში, ბრენდჰენდი, ხოლო მოგვიანებით 2017 წელს ონლაინ სასაჩუქრე მაღაზია - პანტა. მოგვიანებით, ამავე წელს მან დააფუძნა „რენოვარე“, დღეს ერთერთი წამყვანი სარემონტო კომპანია საქართველოში.

დღეს გიორგი არის სპიკერი და სამოტივაციო ქოუჩი საერთაშორისო კონფერენციებზე, პროექტებსა თუ ღონისძიებებზე აისეკში, აიესაიში, კანტის აკადემიაში და სხვა საგანმანათლებლო სივრცეებში,